თითო ქულა

თბილისი „დინამოს“ სტადიონი. 21 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) – „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:1 (1:0).

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ბარქაია, ასათიანი, მესხი, ნოდია, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი, ჭელიძე.

„ლოკომოტივი“: გრძელიშვილი, ფრიდმანი, სახვაძე, კოპინი, მირიანაშვილი, ძაგანია, ისიანი, მაზიაშვილი, კაიშაური, ძიძიგური (მუმლაძე). გავაშვილი.

მსაჯი გ. ბაქანაძე (თბილისი).

მთელი პირველი ტაიმი დინამოელთა „კარნახით“ მიმდინარეობდა და რკინიგზელთა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. გარკვეული ბრალი ამაში „ლოკომოტივის“ დაცვასაც მიუძღოდა. როგორც კი დინამოელთა მარჯვენა გარემარბი ნოდია ცენტრისკენ იწყებდა მოძრაობას, მირიანაშვილი წამსვე ტოვებდა თავის ადგილს და შუისკენ მიჰყვებოდა თავდამსხმელს, რის გამოც საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ღიად რჩებოდა, ამ „ვაკუუმში“ სისტემატიურად შედიოდა კუტივაძე, რომელიც მწვავე გადაცემებით მეტოქის კარის სიახლოვეს გაჰყავდა პარტნიორები. და საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს ადგილის შერჩევის მეტი ტაქტიკური ალღო გამოეჩინა, ან საბოლოოდ უფრო ზუსტად დაერტყა და გუნდიც ადრევე მიაღწევდა მიზანს.

მაგრამ ასეთი მოთამაშე აქ არ აღმოჩნდა. ამიტომ „დინამო“ დასჯერდა ნოდიას მიერ 37–ე წუთზე ძნელი მდგომარეობიდან გატანილ ერთადერთ გოლს.

„ლოკომოტივმა“ თავისი შეცდომა მეორე ტაიმში გამოასწორა. მირიანაშვილი საფუძვლიანად დაეპატრონა ზონას, რომელიც მას ებარა და დინამოელებმაც ვეღარ მოძებნეს იერიშის გასაგრძელებელი გზები. როგორც კი მოწესრიგდა საქმე დაცვაში, რკინიგზელებმა შეტევაში აქტიურად ჩართეს თავიანთი ნახევარმცველები ძიძიგური და ისიანი. 52–ე წუთზე სწრაფად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ გავაშელმა მარჯვნივ გადაინაცვლა და შორეულ კუთხეში დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

დრო საკმარისზე მეტი იყო დარჩენილი, მაგრამ „დინამო“ ვეღარაფერს გახდა. ლოკომოტიველებმა ბოლომდე კარგად ითამაშეს და ანგარიშიც შეინარჩუნეს.

“ლელო” 22.II.67 წ.